განცხადება

მე, …… …… ვაცხადებ, რომ გავეცანი ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას, ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, საქართველოში პოლონეთის საელჩოს კუთვნილი ავტომანქანის შესყიდვაზე საჯარო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად და ვიცი ჩემი უფლებები, რომელიც განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე -15, მე-16 და მე-18 მუხლებში.

……

/თარიღი და ხელმოწერა/

ინფორმაცია მოწოდებულია პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ

პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

ეს ინფორმაცია გამომდინარეობს იმ ვალდებულებიდან, რომელიც განსაზღვრულია მე -13 მუხლის 1 და 2 პარაგრაფში, 2016 წლის 27 აპრილის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციებში (EU) 2016/679, და ეხება ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დაცვას და დამუშავებას, ასევე 95/46/WE დირექტივის გაუქმებას, შემდგომში მოხსენიებული როგორც „GDPR“ (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია).

1. GDPR-ის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თქვენი პირადი მონაცემების ადმინისტრატორი არის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის ადგილმდებარეობა არის პოლონეთი, ვარშავა, შუხას გამზ. 23, ხოლო ადმინისტრატორის მოვალეობის შემსრულებელი არის პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი თბილისში, მისამართზე ონიაშვილის ქ. 24, 0160 თბილისი, საქართველო.
2. საგარეო საქმეთა მინისტრმა დანიშნა მონაცემთა დაცვის ოფიცერი (DPO), რომელიც ასრულებს თავის მოვალეობებს საგარეო საქმეთა სამინისტროში და საგარეო მისიებში მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. DPO-ს საკონტაქტო ინფორმაცია: რეგისტრირებული სამუშაო ადგილის მისამართი: შუხას გამზ. 23, ვარშავა 00-580, ელექტრონული ფოსტის მისამართი: iod@msz.gov.pl
3. მონაცემთა დამუშავება მოხდება მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის, და მინისტრთა საბჭოს 2017 წლის 4 აპრილის დებულების § 17 საფუძველზე, სახელმწიფო ხაზინის გარკვეული აქტივების დეტალური მართვის შესახებ (2017 წლის საკანონმდებლო ცნობარი, 729 პუნქტი), საელჩოს ავტომობილის საჯარო ტენდერის გზით გაყიდვის მიზნით.
4. მონაცემთა დამუშავება გაგრძელდება მანამ, სანამ არ შეწყდება დამუშავების აუცილებლობა, განსაზღვრული მე-3 პუნქტში. შემდეგ, მონაცემთა შენახვა გაგრძელდება საარქივო მიზნებისთვის, ეროვნული საარქივო რესურსის შესახებ 1983 წლის 14 ივლისის აქტის დებულებების შესაბამისად. (2018 წლის

საკანონმდებლო ცნობარი, 217 პუნქტი) და საგარეო საქმეთა სამინისტროს შინაგანაწესი, რომელიც გამომდინარეობს ზემოთ აღნიშნული კანონიდან.

5. მონაცემებზე წვდომა ექნება მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს უფლებამოსილ თანამშრომლებს, კერძოდ, სატენდერო კომისიის წევრებს.
6. მონაცემები დაცულია GDPR– ის დებულებების შესაბამისად და არ შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მესამე პირებისთვის, რომელთაც არ აქვთ ამ მონაცემებზე წვდომა.
7. მონაცემები არ გადაეცემა მესამე ქვეყანას ან საერთაშორისო ორგანიზაციას.
8. პიროვნებას, რომელსაც ეხება აღნიშნული მონაცემები, უფლება აქვს გააკონტროლოს მონაცემთა დამუშავება, როგორც ეს მითითებულია GDPR– ის მე-15, მე-16, და მე–18 მუხლებში, კერძოდ, ამ მონაცემების წვდომის, შესწორების და დამუშავების შეზღუდვის უფლება.
9. პერსონალური მონაცემები არ დამუშავდება ავტომატური ფორმით, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებების მიღებაზე, და რასაც შეიძლება იურიდიული შედეგები მოჰყვეს ან ანალოგიურად მნიშვნელოვნად იმოქმედონ მასზე. მონაცემები არ იქნება პროფილირებული.
10. პიროვნებას, რომელსაც ეხება აღნიშნული მონაცემები, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს საზედამხედველო ორგანოში, შემდეგ მისამართზე:
    პერსონალური მონაცემების დაცვის ხელმძღვანელი
    სტავკის ქ. 2,
    00-193 ვარშავა